ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, ᲨᲐᲛᲑᲐᲗᲘ, 1987 Წ.
№ 196 (9607) ● ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

## ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲘᲐᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲐ

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** აქ დაიწყო ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. პირველ დღეს მოფარიკავეთა ასპარეზობა ჩატარდა. ამ სახეობაში ყველაზე კარგად გამოვიდნენ და 1062-1062 ქულა დააგროვეს მოსკოველმა ალექსი ხაპლანოვმა და უნგრელმა იოჟეფ დემეტერმა. თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილი, რომელიც ჯერჯერობით მესამე ადგილზეა, ლიდერებს 62 ქულით ჩამორჩება.

საბჭოთა სპორტსმენები წინ არიან გუნდურ ჩათვლაშიც — 2.783 ქულა. მეორე ადგილზე უნგრელი ხუთჭიდელები არიან (2690 ქულა), მესამეზე — გფრ-ის წარმომადგენლები (264[illegible]).




ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ ᲗᲔᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲘ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲡ — ᲐᲡᲔ „ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ" ᲐᲛ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐᲚᲖᲔ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲬᲘᲚᲘᲡᲧᲠᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲐᲨᲘ — ᲐᲜᲓᲐᲚᲣᲖᲘᲘᲡ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ) ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲨᲔᲓᲒᲐ 10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲒᲐᲠᲘ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

„ᲚᲔᲚᲝᲡ" ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲘᲓᲐᲜ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ:

**ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕ-ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘᲡ** მატჩის წინა დღეებში უდიდესი ინტერესი გამოიწვია ორივე საბჭოთა მოჭადრაკის პრესკონფერენციებმა, რომლებიც მათ მატჩზე აკრედიტებულ ჟურნალისტებს გაუმართეს. პირველად ჟურნალისტების წინაშე წარსდგა მსოფლიო ჩემპიონი. დარბაზში ტევა არ იყო, განსაკუთრებით მეორე პრესკონფერენციაზე, რომელიც კასპაროვმა თავის ახალი წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით მოაწყო.

კასპაროვის წიგნს ჰქვია „გარდაქმნის შვილები". წიგნი მასობრივი ტირაჟით დაიბეჭდა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე. გამოცემაში არც ერთი საჭადრაკო პარტია არ არის განხილული. მასში ლაპარაკია მხოლოდ იმ წინააღმდეგობებზე, რაც კასპაროვმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისთვის გადალახა.

**ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: რამ განაპირობა ასეთი წიგნის შექმნა?**

**ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ:** მე დიდხანს ვფიქრობდი დამეწერა თუ არა ეს წიგნი და, საბოლოოდ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეს წიგნი აუცილებელია. წარსულ წლებში ბევრი რამ მოხდა ისეთი, რაც მხოლოდ კულისებში დარჩა და საჭირო გახდა მისი საჯაროდ გამომზეურება. მინდა საჭადრაკო მსოფლიომ იცოდეს, რაც გადამხდა და განვიცადე. ყველაფერი ეს შევეცადე დამეკავშირებინა გარდაქმნასთან, რაც ჩემს ქვეყანაში მიმდინარეობს.

**ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: მიაკუთვნებს თუ არა კასპაროვი საკუთარ თავს გარდაქმნის პერიოდის თაობას, კარპოვს კი წინა პერიოდის თაობას და რა მოხდება თუ კასპაროვი ამ მატჩს წააგებს?**

**ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ:** რა თქმა უნდა, გამარჯვება იოლი არ იქნება. ეს ჩემი მეოთხე მატჩია კარპოვთან. მეორე და მესამე მატჩს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემი ბედის განსაზღვრისათვის. გამარჯვება ამ მატჩებში ნიშნავდა არა მარტო ჩემპიონობის მოპოვებას, არამედ ჩემი, როგორც პიროვნების დამკვიდრებას.

ახლა სიტუაცია ჩემს ქვეყანაში შეიცვალა და არა მაქვს არავითარი ეჭვის ნატამალიც კი იმაში, რომ ახალი გამარჯვება საჭიროა იმ გარდაქმნებთან დაკავშირებით, რაც ჩემს ქვეყანაში ხდება.

ᲘᲮ. ᲛᲔ-4 ᲒᲕ.

# ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲔᲜᲐᲫᲔ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ



**ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲗᲐ** გუნდურ ჩემპიონატში, როგორც წესი, ყოველ კოლექტივს შვიდ-შვიდი მოჭიდავე გამოჰყავს, მაგრამ ჩათვლაში ფრედ დამთავრებული შეხვედრა არ შედის. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდის გამოსავლენად მხოლოდ ხუთი ორთაბრძოლის შედეგი გაითვალისწინეს.

ტურნირმა, რომელიც საფრანგეთში ჩატარდა, ადგილობრივ ძიუდოს მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მით უფრო, რომ ამ ქვეყნის ნაკრებმა ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. მეორე ფინალისტი საბჭოთა კავშირის ნაკრები იყო, რომელმაც მანამდე ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო.

პირველ წონაში (60 კგ) საბჭოთა გუნდის ღირსებას დებიუტანტი მაიკოპელი ჩატიბ ხაჩაკი იცავდა. მან დაამარცხა ევროპის ჩემპიონი პატრიკ რუ. მეორე ქულა ჩვენს კოლექტივს გორელმა მოჭიდავემ გიორგი თენაძემ (71 კგ) მოუტანა. მან დამაჯერებლად სძლია საკმაოდ გამოცდილ სპორტსმენს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორს მარკ ალექსანდრს. შემდეგ თავი გამოიჩინა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ევგენი პეჩუროვმა (95 კგ) — დაამარცხა კონტინენტის პირველობის ვერცხლის პრიზიორი როჟე ვაშონი. მეოთხე და უკანასკნელი ქულა ჩვენს გუნდს კუიბიშეველმა ხაბილ ბიკტაშევმა (მძიმე წონა) მოუტანა. მან კრისტიან ვაშონს აჯობა.

მასპინძლებმა მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგეს: კურსკელი ალექსანდრე სივცოვი (86), ევროპის ჩემპიონ ფაბიენ კანიუსთან დამარცხდა.

ორი ბრძოლა ფრედ დამთავრდა და ამიტომაც გუნდებს ქულები არ მიუღიათ; მიუსინსკელ სერგეი კოსმინინისა (65 კგ) და ბრუნო კარაბეტას შეხვედრაში, ისევე როგორც ვლადიმერ შესტაკოვისა (78) და ჟან-მიშელ ბერტიეს ორთაბრძოლაში მეტოქეთა ძალები თანაბარი იყო და მსაჯებს გამარჯვებული არ გამოუვლენიათ.

სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ძიუდოისტთა ფინალური ორთაბრძოლის შედეგია 4:1. ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები დაიმსახურა.

პარალელურად ჩატარდა ევროპის ძიუდოისტ ქალთა გუნდური პირველობა. კონტინენტის ჩემპიონის სახელი აქ მასპინძლებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში დიდი ბრიტანეთის ნაკრები დაამარცხეს — 4:0.

## ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

„ყველა გვეკითხება, შევძლებთ თუ არა მონინოში სსა-ს დამარცხებას და წელს დუბლის გაკეთებას. ე/ი ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ „შეუძლებელი უნდა შევძლოთ" — განაცხადა ქუთაისში გამართული პირველი სუპერფინალური მატჩის შემდეგ „მშენებლის" უფროსმა მწვრთნელმა დუგლას კავთელაშვილმა.

ბარაქალა ქუთაისელებს, მართლაც რომ შეუძლებელი შეძლეს! გუშინ საღამოს მოუთმენლად ველოდით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის თამაზ ხარაბაძის ზარს და აი, ნანატრი ცნობაც: სტუმრად გამართულ საპასუხო სუპერფინალურ მატჩში „მშენებელმა" კვლავ დაამარცხა საბჭოთა რეგბის აღიარებული ლიდერი, სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი — 13:7 (6:3) და საქართველოს გუნდებიდან პირველმა მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის წოდება. რაოდენ სასიხარულოა, რომ ქუთაისელთა წლევანდელ ნადავლს, საკავშირო თასს, სეზონის ყველაზე ძვირფასი ჯილდო, ოქროს მედლებიც მიემატა.



ᲑᲖᲘᲤᲘᲡ ახალი იპოდრომის საზეიმო გახსნის დღეებში ბევრი სტუმარი ეწვია გაგრას. მათ შორის იყო სსრ კავშირის საცხენოსნო ფედერაციის თავმჯდომარე მიხეილ ბუდიონი. მიხეილის მამას, სსრ კავშირის მარშალს სემიონ ბუდიონნს დიდი წვლილი მიუძღოდა ჩვენს ქვეყანაში მეცხენეობისა და საცხენოსნო სპორტის აღორძინების საქმეში. შვილიც მამის კვალს გაჰყვა.

ს უ რ ა თ ზ ე: მიხეილ ბუდიონი (მარჯვნივ) აფხაზეთის ხანდაზმულებთან.

დ. სტეფანოვის ფოტო.

**ᲩᲔᲚᲘᲐᲑᲘᲜᲡᲙᲘ.** აქ გაიმართა ფიგურისტთა პირველი საკავშირო ტურნირი ყინულზე ცეკვაში, რომელიც ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ლიუდმილა პახომოვას ხსოვნას მიეძღვნა. სპორტის სასახლის საციგურაოზე მოსკოვის, ლენინგრადის, ტაშკენტის, რიგისა და ხარკოვის 18 მოცეკვავე წყვილი გამოვიდა. პირველი ადგილი და პრიზი მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა სვეტლანა ლიაპინამ და გიორგი სურმა დაისაკუთრეს.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** დამთავრდა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური. დაწინაურდა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის კოლექტივი — 5 გამარჯვება. 4-4 მოგება აქვთ ვილნიუსის „კიბირკშტისსა" და ნოვოსიბირსკის „დინამოს". შემდეგ მოდიან კიევის „დინამო", მინსკის „ჰორიზონტი" და აბოვიანის „ადისი" — 3-3, ვოლგოგრადის „დინამო", მოსკოვის ოლქის „სპარტაკი", „ელექტროსილა" — 2-2, ალმა-ათის „უნივერსიტეტი" და „ურალმაში" — 1-1 გამარჯვება. ჯერ არც ერთი შეხვედრა არ მოუგია საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს რიგის ტტტ-ს.

„ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ".

## ᲠᲐᲓᲐᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲐᲜ?

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, პირველ ნოემბერს დამთავრდება საკავშირო კონკურს-დათვალიერება, რომელიც ტარდება დევიზით: „არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი სპორტული მოედნის გარეშე"! როგორც წყალტუბოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ნიქაბაძემ გვაცნობა, პირველი ნოემბრისთვის მწყობრში ჩადგება სოფლების ფარცხანაყანების, მესხეთის, პატრიკეთის და ოფშკვითის ახალი საფეხბურთო მოედნები, სანატორიუმი „საქართველო" კი ქალაქს ხელბურთისა და ფეხბურთის მოედნებს შემატებს.**

**მარტივი ტიპის სპორტული მოედნები არ გააჩნიათ და კონკურს-დათვალიერებას გულგრილად მოეკიდნენ გაზის კანტორის, ბორცისა და რძის კომბინატის, კურორტვაჭრობის, კავშირგაბმულობისა და ელექტრომეურნეობის შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელები. რატომ? ვფიქრობთ, პასუხი არ დააგვიანებს.**

**შემდეგ ინფორმაციას წულუკიძის, თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონებიდან მოველით.**



ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 150 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ

# ᲛᲗᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲨᲘ

**ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ დიდი დღესასწაული — ოქტომბრის ბოლო კვირას მთელი ქართველი ხალხი მსოფლიოს ხალხებთან ერთად აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს.**

**Უ**ᲙᲕᲔ ტრადიციად იქცა, ილიას დღეებში ქართველი მთამსვლელები, მთელი ქართველი ახალგაზრდობა მიდის მის სახელთან დაკავშირებული წმინდა ადგილების მოსანახულებლად. ამჯერადაც ასე იყო.

ამ დღეებში საქართველოს სპორტკომიტეტისა და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის ინიციატივით, ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს ალპურ კლუბში შეიკრიბა მთამსვლელთა მრავალრიცხოვანი რაზმი.

საიუბილეო ალპინიადამ მიზნად დაისახა მასობრივი ასვლა განეხორციელებინა კავკასიონის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ მყინვარწვერზე და მის მახლობლად მდებარე მწვერვალ ორწვერზე. ამავე ალპინიადის სპორტული ჯგუფი ხდის ხეობაში უნდა ასულიყო ილია ჭავჭავაძის სახელობის შედარებით რთულ მწვერვალზე. რასაკვირველია, ალპინიადის მონაწილეებს უნდა მოენახულებინათ ბეთლემის გამოქვაბულიც.

8 სექტემბერს, ჯგუფის გამგზავრების დღეს, საზეიმო შეკრებაზე მოვიდნენ სპორტკომიტეტის, ალპინისტთა ფედერაციისა და ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლები — ქართველი მწერლები, ვეტერანი მთამსვლელები და ცნობილი სპორტსმენები.

ლაშქრობის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მწერალი სარგის ცაიშვილი. მან ექსპედიციის მონაწილეთ უსურვა რთული და ესოდენ საპატიო ლაშქრობის ღირსეულად ჩატარება.

მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელმაც გაიხსენა ილიასადმი მიძღვნილი 1967 წელს გამართული ლაშქრობა.

იმ წელს ჩვენი სახელოვანი მწერლის ლევან გოთუას ხელმძღვანელობით გაემგზავრნენ ახალგაზრდა ქართველი მწერლები, რომელთა შორის იყო ჯ. ჩარკვიანიც. მან თქვა, რომ სამუდამოდ დაამახსოვრდა ეს მოგზაურობა საგურამოდან ბეთლემამდე, რომელსაც „ილიას გზა" ეწოდა.

ჯგუფის გაცილების ცერემონიალი დამთავრდა და ლაშქრობის მონაწილეთა ერთი ჯგუფი თბილისიდან გაემგზავრა. თბილისელ მთამსვლელებს ყაზბეგში შეუერთდებოდნენ



საქართველოს სხვადასხვა რაიონების წარმომადგენლები. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო ლაშქრობა დაიწყო.

**Ვ**ᲘᲜᲪ იმ დღეებში საქართველოს სამხედრო გზით იმგზავრა, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია დარიალის ხეობაში, სოფელ გველეთს ზემოთ თალხი კლდეებით შემოჯარულ მწვანე მდელოზე გაშლილი კარვებისათვის, რომელთა თავზეც ალპინიადის ფერადი ალმები ფრიალებდა. იქ დაბანაკებული მთამ[illegible]

ᲘᲮ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.

# მთამსვლელთა დღეები ყაზბეგში

(დასასრული)

ვლელები ვარჯიშობდნენ ბალახოვან ფერდობებზე, ქვანაყარზე სიარულის ტექნიკაში, თოკის კვანძის შეკვრაში, მთის მდინარეზე გადასვლაში, სამაშველო სამსახურის ჩატარებაში. ინსტრუქტორებს საშუალება ჰქონდათ საფუძვლიანად გასცნობოდნენ ჯგუფის თითოეულ წევრს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთაში.

ალპინიადას ხელმძღვანელობდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ალპიური კლუბის დირექტორი ნოდარ კანკავა. მას ეხმარებოდნენ კლუბის ინსტრუქტორ-მეთოდისტები: თემურ თექთუმანიძე, მურმან კომახიძე, დიმიტრი ობოლაძე, თამაზ ახალბედაშვილი, ემზარ ალავერდაშვილი, ზაქრო მუშკუდიანი, არსენ რატიანი, ზურაბ ქირიკაშვილი, ნუგზარ დიდებულიძე, დავით დანელია, მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრები — გივი ქართველიშვილი, დიმიტრი შარაშენიძე და თამაზ ბაქანიძე.

ალპინიადაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ექიმები დავით კაპანაძე და დავით ფიცხელაური.

პირველი გასვლა 13 სექტემბერს განხორციელდა სპორტის ოსტატ გივი ქართველიშვილის საერთო ხელმძღვანელობით. რუსთავის მყინვარის გავლით ჯგუფი ხდეს ხეობაში, 4310 მეტრის სიმაღლის „2-ბ“ კატეგორიის სირთულის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწვერვალზე ავიდა.

ეს მწვერვალი პირველად 1944 წელს დალაშქრა ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ვახტანგ ქირიკაშვილი, ნიკოლოზ მუხინი, სიმონ შხვაცაბაია, წლეულს კი მწვერვალზე ავიდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: გივი გიგაური (ხელმძღვანელი), გივი ქართველიშვილი, გელა სულიკაშვილი, თამაზ შარაშენიძე, ვანო ვაშაყმაძე, მერაბ ხაბაზი და თამაზ წიკლაური. მეორე დღეს ჯგუფი ვანო ვაშაყმაძის (ხელმძღვანელი), გელა სულიკაშვილის, მერაბ ხაბაზის და დავით რაქვიაშვილის შემადგენლობით 4502 მეტრის სიმაღლეს მესამე კატეგორიის სირთულის მწვერვალ „სიმონ ჯაფარიძეზე“ ავიდა.

14 სექტემბერს ალპინიადის ძირითადმა შემადგენლობამ ლაშქრობა სამების მთიდან დაიწყო, რომლის მწვერვალზეც XIV საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ცნობილი ძეგლი სამების ტაძარი დგას. — ერთადერთი გუმბათოვანი ეკლესია მთელს ხევში.

15 სექტემბერს ყაზბეგელ მთამსვლელთა ჯგუფი ინსტრუქტორ ზურაბ ქირიკაშვილის ხელმძღვანელობით 4310 მეტრის სიმაღლის მწვერვალ ორწვერზე ავიდა. მეორე დღეს კი ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა ჯგუფი, რომელსაც ნ. კანკავა ხელმძღვანელობდა, ფირნის ველის გავლით მყინვარწვერის გაყინულ ფერდობს შეუდგა სიმონ ჯაფარიძის გზით.

ახალგაზრდებთან ერთად მყინვარწვერს ვეტერანი მთამსვლელი, გუდამაყრის ხეობის სოფელ ჩოხის მკვიდრი ვანო წიკლაურიც ეწვია. ოცი წლის წინათ იგი მიხეილ ხერგიანთან და სხვა ქართველ მთამსვლელებთან ერთად მონაწილეობდა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიღვნილ საერთაშორისო ალპინიადაში, რომლის მონაწილეებმა ლენინის პიკი დაიპყრეს.

მეორე, ახალბედა მთამსვლელთა ჯგუფი, რომელსაც თემურ თექთუმანიძე ხელმძღვანელობდა, ყინულოვან მწვერვალ „ორწვერს“ უტევდა. მათთან იყო ვეტერანი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დიმიტრი ობოლაძეც.

ალპინიადაში გოგონებიც მონაწილეობდნენ. გამძლეობით ისინი ვაჟებს როდი ჩამოუვარდებოდნენ. აქვე იყვნენ ცნობილი ალპინისტები, მამა-შვილი წულუკიძეები. ონის რაიონის სპორტსმენებს პარტიის რაიკომის თანამშრომელი თემურ დგვირელი უძღვებოდა, გორელთა ჯგუფს — პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი ნოდარ ტეტუნაშვილი. ალპინიადაში მონაწილეობდა ქალაქ გორის გუნდიც მთავარი არქიტექტორის თეიმურაზ კაპანაძის ხელმძღვანელობით, ყაზბეგელებთან ერთად იყვნენ სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კობა კობაიძე და კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი ვაჟა ფიცხელაური. დასანანია, რომ საიუბილეო ასვლებში მონაწილეობა არ მიუღიათ ქუთაისელ, დუშელ, თელაველ ახალგაზრდებს.

**დენიზა გოზალიშვილი.**

# SOS ვითომ არ გვჭირდება ცოდნის გაღრმავება?

**ნათქვამია,** სწავლა სიბერემდეო. დიახ, თავის საქმეზე შეყვარებული კაცი, ვისაც სურს კარგი სპეციალისტი გახდეს, უმაღლესი სასწავლებლის კედლებში მიღებული ცოდნის ამარა ვერ დარჩება. იგი დღენიადაგ იმის მცდელობაში უნდა იყოს, რომ რაიმე ახალი შეიძინოს და ცოდნის ჰორიზონტი გაიფართოოს.

სპორტშიც ასეა. თუ კვალიფიკაცია არ აიმაღლა, მწვრთნელი ხვალ ან ზეგ შეიძლება საშუალო დონის სპეციალისტზე დაბალ საფეხურზე აღმოჩნდეს. სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში მომუშავე 4000 მწვრთნელიდან თითებზე შეიძლება ჩამოითვალონ მისაბაძნი.

ფიზკულტურის ინსტიტუტთან დიდი ხანია არსებობს მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ბოლო ხანებში პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა კურსების ეფექტიანობის ასამაღლებლად, რასაც საფუძვლად დაედო საქართველოს სპორტსახკომის მიერ გატარებული ღონისძიებები. ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ კვალიფიკაციის ამაღლება საჭირო და აუცილებელი საქმეა, რომ კურსების მუშაობაში უნდა აღმოიფხვრას ფორმალიზმი და მხოლოდ მაშინ ამაღლდება მისი ეფექტიანობა.

ჩვენ ადრეც ვწერდით, რომ კურსების მუშაობაში ვერა და ვერ დამყარდა სრული წესრიგი. და აი, ახალი საგანგაშო ცნობა. 5 ოქტომბერს, წინასწარ დამტკიცებული გეგმით, კურსებზე მძლეოსნობის, კრივისა და სროლის 29 მწვრთნელი უნდა შეკრებილიყო. გამოცხადდა 5. რა ექნათ კურსების ხელმძღვანელებს? მეცადინეობის დაწყება 12 ოქტომბრისთვის გადადეს. გუშინ დილით რედაქციის წარმომადგენლებმა შეამოწმეს და... კურსებზე მხოლოდ 7 მსმენელი გამოცხადებულა.

აქვე დავძენთ, რომ კურსებზე მსმენელები მოდიან სპორტული ორგანიზაციებისა და შესაბამისი უწყებების რეკომენდაციებით, კანდიდატებსაც ისინი არჩევენ და კურსების მუშაობის ვადაც მათთან შეთანხმებით დგინდება. მაშ რა ხდება, რა იწვევს გაუგებრობას? რასაკვირველია, უპასუხისმგებლობა, მუშაობის ძველი სტილი. დიახ, ბევრგან ისევ ძველებურად მუშაობენ და აზროვნებენ.

მაინც ვინ უნდა გამოცხადებულიყო კურსებზე? განათლების სისტემის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებიდან კურსებზე მძლეოსნობის 11 მწვრთნელი, კერძოდ, მ. ალთუნაშვილი, ლ. გუგუშვილი, ნ. ჭაჭიაშვილი, ე. რუსიშვილი, გ. ქუბლაძე, ა. დემეტრაშვილი, კ. უსუპაშვილი, ა. დავითაია, თ. ჯალაღონია, გ. გერსამია, რ. ჭინჭარაული. დიახ, უნდა გამოცხადებულიყვნენ, მაგრამ არ გამოცხადდნენ. „დინამომ“ განაცხადი წარადგინა ერთ მსროლელზე (დ. ქვათაძე) და ერთ მძლეოსანზე (დ. კალაძე), მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა არც ერთს და არც მეორეს არ აღმოაჩნდა. პროფკავშირების სპორტული საზოგადოებიდან არ გამოცხადდნენ ე. მარგიანი, რ. შამოევი, გ. ბახტაძე, დ. კალოევი და დ. ხომასურიძე (ყველა კრივის მწვრთნელია). უმაღლესი სპორტული ოსტატების რესპუბლიკური სკოლიდან — ვ. ტროპიანი, ა. შოუა, ვ. სალუქვაძე, ე. აბაჯიანი, ო. კვირიკაშვილი (სროლა).

კონკრეტულად ვინაა დამნაშავე? რედაქცია პასუხს ელოდება შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანიზაციებიდან.

# ქართველ სპორტსმენთა გალერეა ილიასეულ პრესაში

## 7. ქართველი ლელობურთელები

„გუშინ, კვირას, ნასადილევს თითქმის მთელი ქალაქის იმერლობა მოგროვდა დიდუბეში, მუშტაიდის იქით. ჯერ ჭიდაობით დაიწყეს... შემდეგ ბურთი ავარდა. ერთი მხრით მეგრელები, მეორეს მხრით იმერლები და გურულები. მგონია ეს უკანასკნელნი უფრო მომეტებულნი იყვნენ რიცხვით და ამიტომაც პირველადვე ამათ გაიტანეს სამჯერ ბურთი, მეგრელებმა კი მარტო ერთხელ. მობურთავეების რიცხვი 200-ზე მეტი იყო. მაყურებელი ერთი სამად მომეტებული. დიდძალი ხალხი, უფრო მაღალი წოდების ქართველები, ქალები და კაცები, აგრეთვე ქალაქის ხალხი მოაწყდა საყურებლად და ყველას მოეწონა ამგვარი შექცევა. რასაკვირველია, არავითარი უწესოება არ მომხდარა. ამბობენ მუდამ კვირას აპირებენ ამ ალაგასვე იმერლები ბურთის თამაშის გამართვასო“.

**„დროება“, 1882, № 80.**

„ბათუმი: აღდგომის კვირაში სასიამოვნო დარები იყო. კვირა-ცხოვლობა დღეს აქაური ქართველობა შეიკრიბა კახაბრის მინდორზე და დაიწყეს ბურთაობა. მაყურებლებიც ბევრნი იყვნენ მოსულნი და დიდადაც გაჰკვირდნენ და ისიამოვნეს ამ თამაშობის ცქერით... მაგრამ სიამოვნება იაფად არ დაგვიჯდა. როცა პირველად გამოვარდა ბურთი, მოვიდა ბოქაული ყაზახებით და თხოვა ხალხს, მე მომეცით ბურთი, უფრო შუა ალაგას ავაგდებო. ბურთი მისცეს. იმან ბურთი ყაზახებს გადასცა და პოლიციაში წაალებინა: ბურთის თამაშობა არ შეიძლება, აკრძალულიაო. ხალხმა სხვა ბურთი იყიდა და ახლა ის ააგდო. მოვიდა მას უკან პოლიციის უფროსი და დაუშალა ხალხს ბურთაობა. თან მოიყვანა ცეცხლისმქრობელნი ცეცხლის ქრობის მოწყობილობით და უბრძანა, გაწუწეთ ხალხი და დაიშლებიანო. ხალხს ხუმრობა ეგონა გაწუწვა თავისი და კივილ-ხივილით მისცვივდნენ ცეცხლის მქრობელთ, რომ წაერთმიათ მაშინები და ახლა ისინი გაეწუწნათ. ამ ბლაძუნობაში სულ ერთიანად წაბდა მაშინები და თვით პოლიციის უფროსსაც ატკინეს თვალი. ბოლოს ამ ვაი-ვაგლახმა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწემდესაც მიაღწია. თანაშემწე თ. ერისთავმა უბრძანა პოლიციის უფროსს, რომ ხალხს ჩვეულებად აქვს ბურთის თამაშობა და ნუ დაუშლითო. მართლაც დაიწყო თამაშობა და ბოლომდე ისე გათავდა, რომ არავითარი უწესობა და ურიგობა არა მომხდარა-რა“.

**„ივერია“, 1890, № 75.**

„ბათუმი: დასავლეთ საქართველოში ძალიან უყვართ ბურთაობა. ამაზედ უკეთესი გართობა და დროს გატარება სხვა არ უნდა ჩვენებურს. ბათუმში პირველად ბურთაობა გაიმართა 24 აპრილს. დიდძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. მობურთავენი ორ ნაწილად იყვნენ გაყოფილნი: ცალ მხარეს მეგრელნი და მეორეს — გურულნი. მეგრელნი ერთიორად მეტი იყვნენ გურულებზე, მაგრამ ამათ გული არ გაიტეხეს და დიდის ხალისით დაიწყეს თამაშობა. ბინდამდე გასტანა ამ ამბავმა და ბოლოს ვიღაც პირმავმა კაცმა გასჭრა ბურთი გურულების საზღვარზედ. ბათუმის ნავსადგურში მუდამ რამდენიმე ცეცხლის გემი სდგას უცხოელებისა. რამდენიმე ინგლისელი გამოვიდა ნაპირად, ბურთაობა რომ დაინახეს, ისე შეექმნათ იმათაც გული, რომ თვითონაც ჩაერივნენ. ისე თამაშობდნენ ისინი ბურთს, რომ ჩვენებურები გეგონებოდათ. აღტაცებაში იყვნენ ასეთი დროს გატარებით“.

**„ივერია“, 1894, № 89.**

„ს. ოფშკვითი (ქუთაისის მაზრა). ერთი ჭირი მარგებელიაო, იტყვიან ჩვენში, და სწორედ მართალიც ყოფილა. ყოველი კაცი სწუხს ჩვენში ღვინის მოუსავლობას, მაგრამ უმჯობესია კაცმა წყალი სვას და ჭკვიანი იყოს, ვიდრე ღვინო და — სულელდებოდეს. 23 აპრილს გიორგობა ვიუქმეთ და უღვინობის გამო ყველა ჭკვიანად ვთამაშობდით და გემრიელად ვაგორებდით ბურთს ჩვენი საყდრის გალავანთან. შემოსულმა მღვდელმა ეს ბურთი დიდის ამბით გამოიტანა საყდრიდგან, წინ ბაირაღი მიუძღვის და მთელი ხალხი მას მისდევს უკან დიდად მხიარულნი. ბურთი ლელოში მხოლოდ ერთხელ გავიდა, რომლის შემდეგაც მოსტეხეს ერთი ძირი ხე, შემოატარეს ეკლესიას, მიაგდეს გალავნის ერთ კუთხეში და თან ქვების სროლით და ყიჟინით მიაყვირეს: „ამოაგდოს წმ. გიორგიმ ქურდი და ავი კაციო!“.

**„ივერია“, 1897, № 94.**

„...ქვემო იმერეთში ახალ-კვირაობა ყველაზე უფრო განთქმული იყო და ვითომ ახლაც არის სოფ. კულაშში — ერთს დროს საუკეთესო თავად მიქელაძეების საცხოვრებელში. ბურთაობა კულაშში ნამეტურ გამოჩენილი იყო. მახსოვს, სულ ცოტა რომ ვსთქვა, 1500 ქვეითი და 500 ცხენოსანი იღებდნენ მონაწილეობას ხელჩართულს თამაშში. მჭვრეტელნი, რასაკვირველია, ათი იმდენი იქნებოდა. უწინაც და ეხლაც მოთამაშენი გაყოფილია ორ, ერთმანეთის მოწინააღმდეგე მხარედ: ერთ მხარეს ლელო გააქვს აღმოსავლეთით წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, მეორეს — დასავლეთით საგანგებოდ დანიშნულ მიჯნასთან. ორივე მხარე ყოველს ღონისძიებას ხმარობს ლელოს გატანისათვის; ქვეითები რომ ბურთს იგდებენ ხელში, თავიანთ მომხრე ცხენოსნებს გადასცემენ, ამათ მოწინააღმდეგე ცხენოსნები დაედევნებიან წასართმევად. შეიქმნება „საზოგადო უეტაკება“. შემოკივილი, ქვეითნი და ცხენოსნები ერთმანეთში ირევიან, ვინ ვის სძლევს ეხლა გამოჩნდება...“

**„დროება“, 1882, № 74.**

„ფოთი: პირველ მაისს, ჩვეულებრივად ბურთაობა იყო გამართული ფოთში. ბურთაობას დიდძალი ხალხი ეტანებოდა მუდამ, მაგრამ რაც დღეს მიდის, ძველებურად დროს გატარება სულ უფრო და უფრო სუსტდება... სასურველი არ არის, რომ ეს ჩინებული თვალისა და გულისათვის სასიამოვნო ძველებური ჩვენთა მამაპაპათა დროსტარება გადავაგდოთ. ამგვარი საერო თამაშობა, როგორც ბურთაობა და სხვა, გარდა იმისა, რომ ჩვენ ფიზიკურად გვავარჯიშებს, ეჭვი არ არის მეტს ჯანმრთელობასა და სულის სიფხიზლესაც მოგვცემს. ბურთი გავარდა 4 საათზედ. ერთმა მუჭა გურულებმა მკვირცხლად შეუტიეს, მაგრამ მოგეხსენებათ ძალა აღმართს ხნავსო, მეგრელებმა ბურთი ლელოზედ მიიტანეს. მაინც ბოლოს გამარჯვება გურულებს დარჩათ“.

**„ივერია“, 1896, № 97**

„ფოთი: ეს დღე პირველი მაისი იყო და ჩვეულებრივად ბურთი უნდა გავარდნილიყო. ამისათვის მობურთავე გურულები და მეგრელებიც ადრე შეიკრიბნენ, რომ დროზე გაჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ბევრს მობურთავეს სათამაშოდ გული ისე უთრთოდა, რომ არ იცოდა რა ექნა, ვიდრე ბურთი გავარდებოდა. რადგან მოთამაშე გურულებს ამ დღეს იღბლად გემი გაუჩნდათ დასატვირთავი, ამისათვის დროზე საბურთაოდ ვერ გამოცხადდნენ და ბურთის გაგდებამაც ცოტა არ იყოს დაიგვიანა. ამ დღისათვის გურულების მოსახმარებლად ბ-ნმა მოსეშვილმა თავისთან მომუშავე იმერლებს სადილი გაუმართა, გამოარჩია 70 მობურთავე და პარკში წაასხა. მობურთავე გურული მუშები ცოტანი იყვნენ. ძნე რომ ბურთს გურულების მხრივ 70 კაცი იმერელი აჩერებდა გმირულად. იმერელი მუშები შეებრძოლენ მოწინააღმდეგეთ და ყოჩაღად წაიღეს ბურთი ლელოსაკენ. დაინახეს ეს თუ არა მეგრელებმა, შეუტიეს, მართალია, მერე გურული მუშებიც მოვიდნენ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ძალა აღმართს ხნავსო. რომ დაატყეს საქმე ცუდად მიდის და მეგრელები სიმრავლით გვჭარბობენო, იმერლებმა ბურთი გაჰრეს და ლელოზედ მარტო ტყავი გაიტანეს გამარჯვებულ მეგრელებს. შემდეგ გამარჯვებულმა მეგრელებმა დაამტვრიეს ხის ტოტები, ასწიეს მაღლა მობურთავე გმირი — ბ. გაბელია და სიმღერით შემოატარეს პარკის გარშემო“.

**„ივერია“, 1899, № 93.**

**შეკრიბა ავთანდილ ციბაძემ.**

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „მოზარდი დღევანდელი დღით ცხოვრობს...“

**თბილისის** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის პროფესიული ტექნიკური განათლების სამმართველომ შეისწავლა 1987 წლის 27 სექტემბერს „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში („მოზარდი დღევანდელი დღით ცხოვრობს...“) მოყვანილი ფაქტები.

გაცნობებთ, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები შეესაბამება სინამდვილეს და მთლიანად დადასტურდა.

ამჟამად სამმართველოში მუშავდება აღნიშნულ სასწავლებლებში მდგომარეობის სწრაფად და მკვეთრად გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა, რასაც მალე განვიხილავთ პროფტექგანათლების საბჭოს სხდომაზე და მიღებული ღონისძიების შესახებ დამატებით გაცნობებთ.

**ჯ. ფერაძე,**
**სამმართველოს უფროსი.**

* * *

## „უპასუხისმგებლობა. გულგრილობა“

**„ლელოს“** 8 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი („უპასუხისმგებლობა, გულგრილობა“) 18 სექტემბერს განვიხილეთ რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე. ცნობად იქნა მიღებული, რომ სახალხო განათლების საბჭოს სხდომამ 12 სექტემბერს იგივე საკითხზე იმსჯელა და საგარეჯოს № 4, პატარა ჩაილურის, კაკაბეთის, ბადიაურის, დუზაგრამის საშუალო სკოლის დირექტორებსა და ფიზკულტურის მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლისათვის სასკოლო სპორტული ბაზების მომზადებაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისთვის გამოუცხადა საყვედური.

აღნიშნული ბრძანება და რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება გაეცნო სახალხო დეპუტატთა აღგილობრივ საბჭოებს და ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს.

**გ. საბაშვილი,**
**საგარეჯოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.**

# ყოჩაღ, ვანელებო!

**ხაშურში** ამ დღეს ქართული ჭიდაობის დიდი ზეიმი გაიმართა. რესპუბლიკის ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ფინალურ ტურნირში 30 რაიონის 140-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა.

გუნდური პირველი ადგილი ადგილობრივმა ფალავნებმა დაისაკუთრეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ქუთაისის, თბილისის, ახმეტის, საგარეჯოსა და ვანის მოჭიდავეები. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ვანის ფალავანთა წარმატება (მწვრთნელი ნუგზარ გაბადაძე), რომელთაგან ორმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ერთს კი მეოთხე ადგილი ერგო. ვანის მოჭიდავეებს ადრე ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. საგულისხმოა ისიც, რომ ვანელებმა უკან ჩამოიტოვეს დიდი ტრადიციების მქონე გორის, სამხრეთ ოსეთისა და სხვა რაიონების წარმომადგენლები.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: ჯ. ლომსაძე (ხაშური), ვ. კევლიშვილი (საგარეჯო), გ. მოსიაშვილი (ხაშური), კ. ბერუაშვილი (სამხრეთ ოსეთი), ზ. კაპანაძე, ბ. ტეფნაძე (ორივე — ხაშური), გ. ცოტნიაშვილი (სამხრეთ ოსეთი), მ. თურმანიძე (გორი), კ. წოწინაშვილი (თბილისი).

**სიმონ მაისურაძე.**

# დაფებთან — დინამოელები

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური პირველობა ჭადრაკში. ტურნირი, რომელიც შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარდა, 32 მოჭადრაკე ვაჟი მონაწილეობდა.

სპორტსაზოგადოების ჩემპიონი გახდა ოსტატობის კანდიდატი ნიკოლოზ ლობჟანიძე — 6 ქულა. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა არტურ თეიმურაზიანმა და რაჩიკ კარტაშიანმა (სამივე — თბილისი) — 5-5. უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილი პირველს ერგო.

**„ლელოს“ კორ.**

# ნახევარი ნაბიჯი ფინალამდე

## სსრ კავშირი — გდრ 1:1

ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობის ყურადღება განვლილ შაბათს მიპყრობილი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისადმი, რომელიც ბერლინში შედგა.

გდრ-ის ფეხბურთელები 10 ოქტომბრისთვის ერთობ რთული ამოცანის წინაშე იმყოფებოდნენ: მათ უნდა სამივე დარჩენილი მატჩი მოეგოთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოეპოვებინათ, ეს კი მეტად რთული საქმე გახლდათ, ვინაიდან გერმანელებს მეტოქეებად ჰყავდათ სსრ კავშირის, ნორვეგიისა და საფრანგეთის გუნდები. მაგრამ გარკვეული შანსი მაინც იყო. გაცილებით უფრო იოლი პრობლემის წინაშე იდგნენ საბჭოთა ფეხბურთელები, რომლებსაც ფინალის საგარანტიოდ ბერლინში ქულის აღება სჭირდებოდათ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს რეალობად იქცეოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საბჭოთა ფეხბურთელები ბოლო [illegible] ისლანდიის ნაკრებთან საკუთარ მინდორზე წარმატებით დაამთავრებდნენ, თუნდაც ფრედ. ისლანდიის გუნდი ყველას აუტსაიდერად მიაჩნია, მაგრამ ასეთი რანგის შეჯიბრებებში საშიშ ძალას წარმოადგენს ყველა, მათ შორის აუტსაიდერიც.

შაბათის მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, უკიდურესად დაძაბული, შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა. მთელ რიგ შემთხვევებში მატჩის სანახაობრივ მხარეს საგრძნობლად ჭარბობდა ძალისმიერი ბრძოლა, მკვეთრი თამაში, უხეშობაც, რის გამოც ორივე გუნდის ფეხბურთელებმა საკმარისად მიიღეს გაფრთხილებები, მაგრამ, მაინც, თამაში საინტერესო, მაღალოსტატური იყო. მასპინძლები კარგა ხანს ფლობდნენ ინიციატივას, მეკარე რ. დასაევის კართან არაერთი სახიფათო ვითარება შეიქმნა, საბჭოთა ფეხბურთელები კი ხშირად ავითარებდნენ კონტრშეტევებს, გერმანელთა მეკარეს [illegible] ხშირად უხდებოდა თამაშში ჩაბმა.

დაძაბული ბრძოლა საბოლოოდ ფრედ დამთავრდა — 1:1. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა (ცირსტენი), საპასუხო ბურთი კი ალეინიკოვმა გაიტანა და საბჭოთა ნაკრებმა ღირსეულად მოიპოვა ის ქულა, რომელიც მას ესოდენ სჭირდებოდა.

ახლა ჩვენმა გუნდმა შინ უნდა მიიღოს ისლანდიის ნაკრები, საკმარისია ეს მატჩი ფრედ დავამთავროთ და ჩვენი ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავლენ.

საბჭოთა ნაკრებმა ბერლინში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, ბესონოვი, ხიდიატულინი, (რაცი, 72), კუზნეცოვი, დემიანენკო, ილეიჩუკი, ალეინიკოვი, მიხაილიჩენკო, ზავაროვი (ლიტოვჩენკო, 62), პროტასოვი, დობროვოლსკი.

ამჟამად ევროპის III ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 7 | 4 | 3 | 0 | 12-3 | 11 |
| გდრ | 6 | 2 | 3 | 1 | 9-3 | 7 |
| ისლანდია | 7 | 2 | 2 | 3 | 4-12 | 6 |
| საფრანგეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-5 | 5 |
| ნორვეგია | 6 | 1 | 1 | 4 | 3-8 | 3 |

**დარჩენილ შეხვედრათა**

**კალენდარი:**

**14.X.87** საფრანგეთი — ნორვეგია
**28.X.87** სსრ კავშირი — ისლანდია
**28.X.87** გდრ — ნორვეგია
**18.XI.87** საფრანგეთი — გდრ

# მეტოქეთა ბანაკში

**ბუქარესტი.** უეფა-ს თასზე თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა მეტოქემ ბუქარესტის „ვიქტორიამ" რუმინეთის ეროვნული ჩემპიონატის მე-8 ტურში ანგარიშით 3:0 დაამარცხა ამავე ქალაქის „რაპიდი". „ვიქტორია" ამჟამად 11 ქულით III-V ადგილზეა „უნივერსიტატიასა" და „ოტელულთან" ერთად. ლიდერობს ბუქარესტის „დინამო" — 16 ქულა.

**ბონი.** მოსკოვის „სპარტაკის" მეტოქემ უეფა-ს თასზე „ვერდერმა" გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის მე-12 ტურში ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ნიურნბერგი". [illegible] 19 [illegible] მეორე ადგილზეა. იგი ქულით [illegible].

**მადრიდი.** 14 ოქტომბერს დანიშნულია ესპანეთისა და ავსტრიის ნაკრები გუნდების შესარჩევი მატჩი ევროპის პირველობაზე, ამასთან დაკავშირებით ესპანეთის ეროვნულ ჩემპიონატში ხანმოკლე შესვენებაა. სწორედ ამ პერიოდში მიიღო „ბარსელონამ" (იგი მოსკოვის „დინამოს" მეტოქეა უეფა-ს თასზე) შეტყობინება უეფა-ს შტაბბინიდან, რომ გულშემატკივართა არასპორტული საქციელის გამო კლუბი დაჯარიმებულია 16.500 დოლარით.

## ფედერაციის თასზე

**11 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მეოთხედფინალური მატჩები.**

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და თბილისის „დინამო". მატჩის ძირითადი დრო დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა ფრედ — 1:1, თბილისელთაგან ბურთი გაიტანა გუბაზმა. დამატებით დროში თბილისელთა კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც სპარტაკელებმა ზუსტად გამოიყენეს და გაიმარჯვეს — 2:1.

ბაქოს „ნეფთჩიმ" თავის მინდორზე ანგარიშით 3:0 დაამარცხა მოსკოვის „დინამო". ასეთივე უპირატესობით ითამაშა შინ ვილნიუსის „ჟალგირისმა", რომელმაც გაიმარჯვა დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან" შეხვედრაში — 4:1. ხარკოვის „მეტალისტმა" მოუგო მინსკის „დინამოს" — 2:1

ფეხბურთის ფედერაციის თასის ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 25 ოქტომბერს, ხოლო ფინალი — 21 ნოემბერს.

## საქართველოს პირველობა

**გასულ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 36-ე ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის.**

„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სულორი" (ვანი) 1:0, „დინამო" (ზუგდიდი) — „არმაზი" (მცხეთა) 1:1, „დურუჯი" (ყვარელი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1, „მადნეული" (წყალტუბო) — „ეგრისი" (ცხაკაია) 3:2, „მერცხალი" (მახარაძე) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:1, „ივერია" (ხაშური) — „ქართლი" (გორის რ-ნი) — 2:1, „სპარტაკი" (ცხინვალი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 4:0, „კახეთი" (თელავი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:1, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „დინამო" (გაგრა) 2:0, „მადნეული" (ბოლნისი) — „კოლხეთი" (ხობი) 1:2, „სქური" (წალენჯიხა) — „იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) 3:2, „ს[illegible]მეგობრო" ([illegible]) — „მე[illegible]რეთი" (ქუთაისი) 3:1.

## იუნიორთა ჩემპიონატი

ჩილის ქალაქებში დაიწყო იუნიორ ფეხბურთელთა (ასაკი — 20 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატი. პირველი ტურის შედეგები: ავსტრალია — ტოგო 2:0 („ა" ჯგუფი), ბრაზილია — ნიგერია 4:0 („ბ" ჯგუფი), შოტლანდია — გდრ 2:1 („ც" ჯგუფი), [illegible] („დ" ჯგუფი).

## დ. მარადონას ბოიკოტი

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში „ნაპოლიმ" ანგარიშით 6:0 დაამარცხა „პესკარა", ექვსიდან ერთი ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა გუნდის კაპიტანმა დიეგო მარადონამ.

იტალიის პრესა ხშირად წერს, რომ მარადონამ ბოლო ხანებში დაკარგა სპორტული ფორმა. ამის საპასუხოდ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა გადაწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტოს ადგილობრივ ჟურნალისტებთან.

# ფეხბურთი ბავშვობიდან იწყება

**ფეხბურთი** ჩვენში ერთი მთლიანი ორგანიზმის მოქმედებას შეიძლება შევადაროთ, როდესაც რომელიმე ცალკეული ორგანოს გამოთიშვა მთელის მწყობრიდან გამოყვანას იწვევს. დღევანდელ ფეხბურთში, ცნობილია, ყველაფერი ერთი მეორისგან გამომდინარეობს, შეუძლებელია გავაძლიეროთ ერთი რომელიმე რგოლი, ვთქვათ, ოსტატთა გუნდებში მუშაობა და სასურველი შედეგები მივიღოთ, თუ საქმე რიგიანად არ იქნა დაყენებული მასობრივ ფეხბურთში. ოსტატთა გუნდების წარმატება თუ წარუმატებლობა უშუალოდ მასობრივი ფეხბურთიდან გამომდინარეობს, მასზეა დამოკიდებული.

ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ ოსტატთა გუნდების, კერძოდ, თბილისის „დინამოს" სპორტულ დონეზეც. დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა უფრო სერიოზულად, პრაქტიკულად მოვკიდოთ ხელი საქართველოს ქალაქებში, რაიონებში, სოფლად მასობრივ ფეხბურთში სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესების საქმეს, საჭიროა გეგმაზომიერი, თანამედროვე მეთოდიკის სამამულო თუ უცხოური სპეციალური და დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით. უცილებლად უნდა ამაღლდეს ჩვენი მწვრთნელების კვალიფიკაციის დონე, განსაკუთრებით იმ ასპექტში, რომელიც უშუალოდ საწვრთნელ პროცესს ეხება. გარდაქმნა უნდა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად, დაყოვნების გარეშე. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ბავშვთა ფეხბურთში მუშაობის შედეგი შეიძლება მივიღოთ 5-6 წლის მუშაობის შემდეგ, ხოლო ოსტატთა გუნდებში ფეხბურთელის სრულყოფას 3-4 წელი სჭირდება.

ჩვენი რესპუბლიკის ოსტატთა გუნდების მწვრთნელები სავსებით სწორად აღნიშნავენ, რომ თავიანთ კოლექტივებს ისინი ვერ აკომპლექტებენ პერსპექტიული ახალგაზრდებით, რომ ნიჭიერ ფეხბურთელთა ნაკადმა საგრძნობლად იკლო, რომ მასობრივი ფეხბურთიდან თითქმის ვერ ღებულობენ შესაფერის შევსებას.

კეთილი, ეს ასეა, მაგრამ რით ეხმარებიან თვით ისინი მასობრივ ფეხბურთს? რას აკეთებენ მისი განვითარებისთვის? როგორ ეძებენ რეზერვებს? სწორად წარმართავენ თუ არა სასელექციო მუშაობას? ჩემი აზრით, ოსტატთა გუნდებში მომუშავე მწვრთნელებზე ბევრად არის დამოკიდებული ფეხბურთის განვითარება იმ რეგიონში, სადაც ისინი მუშაობენ, ამ მიმართებით მათ, მართლაც, დიდი სამუშაოს ჩატარება მართებთ.

ფეხბურთის მოყვარულები სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ ბოლო წლების მანძილზე დიდად გაიზარდა ბავშვთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების, მწვრთნელების რაოდენობა, შესაბამისად იზრდება ფეხბურთში მომეცადინეთა რიცხვიც, მაგრამ ამავე დროს ადეკვატურად შემცირდა მაღალი კლასის ფეხბურთელთა რაოდენობა.

რატომ? რა არის ამის მიზეზი? ამ კითხვებზე პასუხი რომ გავცეთ საჭიროა შევეხოთ ბავშვთა ფეხბურთში არსებულ ძნელ პრობლემებს.

მე, როგორც მწვრთნელი, სექტემბრის დასაწყისში ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს ყურადღებით ვადევნებ თვალს, მაინტერესებს თუ როგორი ნაკადი მოდის, როგორი პირველკლასელები გვყავს ჩვენს ფეხბურთში. არ შეიძლება ადამიანი აღტაცებაში არ მოხვიდე, არ გაგიტაცოს პატარების ემოციებმა! უნდა ნახოთ როგორ განცდით ხვდებიან ისინი თავიანთ პირველ ნაბიჯებს სპორტში. უდავოდ, ნიჭიერი ბავშვები მოდიან ფეხბურთის სკოლებში, მწვრთნელებიც დიდი ენთუზიაზმით იწყებენ მათთან მუშაობას. მაგრამ გადის დრო და ხშირ შემთხვევაში, ვიმეორებ — ხშირ შემთხვევაში, მწვრთნელი გრძნობს, რომ მისი მოწაფე იმიტომ კი არ მოდის სავარჯიშოდ და სათამაშოდ, რომ მომავალშიც გააგრძელოს წვრთნა და იოცნებოს დიდ ფეხბურთზე, არამედ იმიტომ, რომ მას სკოლაში გამოცდებიდან გაათავისუფლებენ, მერე უმაღლეს სასწავლებელში საგანგებო სიაში მოხვდება და ა. შ. ყმაწვილი ათასგვარი ილუზიით არის გატაცებული, მაგრამ სად უღალატა მან ბავშვობის ოცნებას, ვინ არის დამნაშავე? ალბათ, ოჯახიც, მწვრთნელიც, ის გარემო და თანატოლებიც, ვისთანაც მას უხდება ურთიერთობა. მოზარდს თანდათან უნელდება ფეხბურთისადმი სიყვარული, იგი ნაკლებად ზრუნავს თავისი ნიჭის სრულყოფისთვის, ამის შედეგად კი უკვალოდ ქრებიან ტალანტები, რომლებზეც ამდენი შრომა და ხარჯი გასწიეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტალანტები ხომ ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა, რომლის მიმართ შეუძლებელია გულგრილნი ვიყოთ.

ტალანტების სიმცირე ჩვენს დღევანდელ ფეხბურთში, ჩემი აზრით, შეიძლება „ველური" ფეხბურთის გაქრობითაც აიხსნას. განუზომელი იყო და დარჩება მუდამ მისი როლი, „ველურ" ფეხბურთს ვერც ერთი მწვრთნელი ვერ შეცვლის. ძველი პლეადის ფეხბურთელებს და გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ, რომ ნაძალადევიდან და „ვაკის პლაციდან" ტექნიკური და ნიჭიერი ფეხბურთელები უფრო მეტად მოდიოდნენ, ვიდრე თბილისის სხვა უბნებიდან, ვინაიდან ბავშვებს ამ ადგილებში ხელს უწყობდა სწორი რელიეფი, აქ ისინი მეტს თამაშობდნენ, ვიდრე სხვა უბნებში.

ბავშვთა ფეხბურთში მიმდინარე სასწავლო-საწვრთნელ პროცესზე და მწვრთნელთა კვალიფიკაციაზე ამჟამად არ შევჩერდები, ვინაიდან ჩვენ გვყავს ნიჭიერი, შრომისმოყვარე, პატიოსანი მწვრთნელების გარკვეული ჯგუფი, მაგრამ ისინი დღესდღეობით უვიცთა მასაში ითქვიფებიან.

აქცენტი ჩვენს საფეხბურთო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და მისი უვარგისობის შედეგად მიყენებულ ზიანზეც მინდა გავამახვილო. ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ბავშვთა ფეხბურთში და, შეიძლება ითქვას, გაგვასწრეს კიდეც უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ლენინგრადის ფეხბურთელებმა. განა იმიტომ, რომ მათ ჩვენზე უკეთესი მწვრთნელები ან ნიჭიერი ახალგაზრდები ჰყავთ. უმეტესად იმიტომ, რომ აღნიშნულ რესპუბლიკებსა და ქალაქებში მწვრთნელთა განკარგულებაში უკეთესი და კარგად მოვლილი საწვრთნელი თუ სათამაშო მინდვრებია. არ მინდა ისე გამომივიდეს, თითქოს, ჩვენი მწვრთნელების ვექილობას ვკისრულობ, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისში და ქუთაისში ბავშვებს მხოლოდ თითო-ოროლა ბალახისსაფარიანი მწვანე სავარჯიშო მინდორი აქვთ, რაიონებზე აღარას ვამბობ. ჩვენს მწვრთნელებს ექსტრემალურ პირობებში უხდებათ მუშაობა. თუ ხეირიან მინდორზე არ ავარჯიშე, როგორ შეიძლება ბავშვს მოსთხოვო ტექნიკური ილეთის კარგად შესრულება? და ვერც სთხოვენ. სწორედ ამიტომ ქართულ ფეხბურთს თანდათან გამოეცალა ის ძირითადი იარაღი, რომლითაც აღფრთოვანებაში მოჰყავდა მაყურებელი. როდესაც ტექნიკურ ფეხბურთზე ვსაუბრობთ, ბავშვთა ფეხბურთს ვგულისხმობთ, ვინაიდან ტექნიკის ძირითადი საფუძვლების ათვისება ბავშვობიდან იწყება. თუ მოზარდი ტექნიკური ილეთების შესრულებაში წუნი და ხარვეზები აქვს, ძნელია მისი გამოსწორება საფეხბურთო სიმწიფის ასაკში. მხედველობაში მაქვს ბურთის ფლობის ტექნიკა, აზროვნების სისწრაფე, მინდორზე გადანაცვლების ტაქტიკა, სხვანაირად „გახსნას" რომ უწოდებენ. მსოფლიო ფეხბურთის პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვარსკვლავად ეღიარებინოთ ისეთი ფეხბურთელი, რომელიც მაღალტექნიკური არ ყოფილიყო, წარმატებასაც სწორედ ის კლუბები აღწევენ, რომლებიც მაღალტექნიკური მოთამაშეებით არიან დაკომპლექტებული.

წარმოიდგინეთ ბავშვი, რომელიც წლების მანძილზე არასწორ გრუნტზე, არასტანდარტულ, უვარგის, მტვრიან მინდორზე ვარჯიშობს უხეირო ბურთით. რასაკვირველია, იგი კარგავს ბურთზე კონტროლის, მისი ფლობის, გადაცემის სიზუსტეს, იმპროვიზაციის უნარს. ერთი შეხედვით თამაში ხომ თითქმის გამორიცხულია (რომელსაც დღეს პრიორიტეტი უკავია თანამედროვე ფეხბურთში). ბავშვსაც ვერ გაამტყუნებ. მას სურს სწორად გაგზავნოს ბურთი პარტნიორთან ან კარში დაარტყას, მაგრამ არასწორ გრუნტზე ბურთი უსწოროდ აისხლიტება და მიფრინავს ვინ იცის სად. ასე ხდება ერთხელ, ათჯერ, ასჯერ, იკარგება სწორი კოორდინაცია, ტექნიკა, ხალისი.

ქართულ ფეხბურთს ყოველთვის ჰყავდა ბრწყინვალე ინდივიდუალისტები, რომლებსაც შესაშური დრიბლინგი ჰქონდათ. თუ მოზარდთა გუნდებში არ გაიზარდნენ ასეთები, ოსტატთა გუნდებში მომუშავე მწვრთნელებმა სად მოძებნონ ისინი? დრიბლინგის დროს საჭიროა ფინტები, ცრუ მოძრაობები, ბურთი თითქმის ფეხზე უნდა იყოს მიწებებული, მაგრამ არასწორ გრუნტზე, როდესაც ბურთი გვერდზე ხტის, იგი უმეტეს შემთხვევაში მოწინააღმდეგეს რჩება, ბავშვიც თანდათან კარგავს ინტერესს ინდივიდუალური თამაშისადმი, ვინაიდან ის, რაც მან ახარებს, რაც იტაცებს, არ გამოსდის, პირიქით,



უხერხულობაშიც აყენებს. ავიღოთ, თუნდაც, მეკარეების პრობლემა, რომელიც დღეს ასე მწვავედ დგას. ბავშვებს ბუნებრივია, არ უნდათ გაქვავებულ მიწაზე ან ასფალტზე ვარჯიშის შემდეგ გადატყავებული სიარული. ბავშვთა სკოლებში მომეცადინე მეკარეები პირდაპირ ჰოკეისტებსა ჰგვანან, რა საშუალებებს არ მიმართავენ ისინი, ტრავმა რომ არ მიიღონ. აქედან გამომდინარე, ახალბედას თავიდანვე უვითარდება შიშის გრძნობა, ხოლო მეკარეს, რომელსაც ეშინია, კარში დგომასთან არავითარი საქმე არა აქვს. განა მწვრთნელს შეუძლია დააძალოს ბავშვს ნახტომის გაკეთება? ხომ შეიძლება ტრავმის მიზეზი თვითონ გახდეს.

და, მაინც, ვისი ბრალია, რომ ბავშვებს არა აქვთ ნორმალური საწვრთნელი პირობები?

ფაქტი ფაქტად რჩება: ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად მასობრივმა ფეხბურთმა ოსტატთა გუნდებს ვერ შეუქმნა მყარი ფუნდამენტი, რითაც შეირყა ქართული ფეხბურთის პირამიდის ის ფუძე, რომლის სათავეშიც თბილისის „დინამო" იმყოფება.

ჩვენს ფეხბურთს ჰაერივით ესაჭიროება მაღალი კლასის რეზერვები, პერსპექტიული მოთამაშეები. მათი აღზრდა ეროვნული საქმეა და სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა შევხედოთ ამ ძნელ, მაგრამ საშვილიშვილო პრობლემას.

**ელგუჯა გუგუშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარი კასპაროვის პრესკონფერენცია

დასასრული

**შეკითხვა: საიდან გაქვთ რწმენა, რომ თქვენი გამარჯვება ურჩევნია ქვეყნის მეთაურს, ბატონ მიხეილ გორბაჩოვს?**

**კასპაროვი:** მე ამის თაობაზე, რა თქმა უნდა, არაფერი ვიცი, მაგრამ ვითვალისწინებ და ვაკვირდები ყველაფერს, რაც შეეფერება გარდაქმნის პერიოდს და მაქვს სურვილი ამაში ვიყო დარწმუნებული. მსურს შეგახსენოთ წიგნის სათაური, რომელიც კარგად შეეფერება მის შინაარსს და გამიგოთ — ჩემს ქვეყანაში რომ არ მომხდარიყო გარდაქმნები გარი კასპაროვი არასდროს გახდებოდა ჩემპიონი.

**შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, თქვენ თუ წააგებთ, ეს მატჩი იქნება მომასწავებელი გარდაქმნების შეწყვეტისა საჭადრაკო სამყაროში?**

**კასპაროვი:** ძნელი სათქმელია მოვიგებ თუ არა ამ მატჩს, მაგრამ ერთი რამის თქმა დაბეჯითებით შემიძლია, მე ვიბრძვი არა მარტო საჭადრაკო ტახტისათვის, არამედ სხვა უფრო მაღალი ინტერესების გატარებისათვის ჭადრაკში და ამას მე უფრო მეტ მნიშვნელობას ვანიჭებ, ვიდრე ჩემპიონობის მოპოვებას.

**შეკითხვა: ყველაზე მეტად გვაკვირვებს ის გულახდილობა, რითაც აღსავსეა თქვენი წიგნი. საინტერესოა რა საზღვრამდე გინდათ მივიდეს თქვენს ქვეყანაში გარდაქმნები?**

**კასპაროვი:** აქ კიდევ ვერ ერკვევიან, რა ძვრებია ჩვენს ქვეყანაში და ფიქრობენ, რომ ეს ეხება ცხოვრების რომელიმე ნაწილს, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ ყველაფერი შეჩერდება, მეტიც, ისევ უკან წავა. ვფიქრობ, ჩვენთან ყველაფერი თანაბრად ვითარდება. ჩემი წიგნიც ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი საბუთია. მინდა გითხრათ, რომ წიგნი გამოცემულია ოფიციალური საბჭოთა ორგანიზაციის ვაპის (საავტორო უფლებების საკავშირო სააგენტო. რედ.) ნებართვით და ამითაც მსურს გაგიძლიეროთ ის აზრი, რომ ჩვენს გარდაქმნებს არ ექნება საზღვარი.

**შეკითხვა: წიგნში გამოთქმულია მხოლოდ თქვენი იდეები და აზრები თუ კიდევ იმ ადამიანებისა, რომლებსაც არ ჰქონდათ თავიანთი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა?**

**კასპაროვი:** წიგნი დაწერილია მხოლოდ ჩემს მიერ და მასში გამოთქმულია მხოლოდ ჩემი აზრები. სამწუხაროდ, ამ აზრებს მე ახლა უფრო ღრმად ვიზიარებ.

**შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, გამოიცემა თუ არა ეს წიგნი რუსულ ენაზე და თუ გამოიცემა დარჩება თუ არა უცვლელად?**

**კასპაროვი:** ამის თაობაზე არ მიფიქრია, და თუ კი იგი გამოიცემა რუსულ ენაზე, საჭირო იქნება წიგნზე დამატებითი მუშაობა და მასში ზოგიერთი ცვლილების შეტანა.

**შეკითხვა: რატომ უტევენ კარპოვს და ამბობენ, რომ მან წოდება მოიპოვა უბრძოლველად? ჩვენ ხომ ვიცით, რომ არა მან, არამედ ფიშერმა აარიდა თავი ბრძოლას. გარდა ამისა, მინდა შეგახსენოთ, რომ მან მოიგო უამრავი ტურნირი და ორი მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში, მაინტერესებს თქვენი აზრი ამ საკითხზე...**

**კასპაროვი:** ისტორიულ ფაქტს ვერავინ გაექცევა. დიდი მატჩი არ შემდგარა ფიშერთან. ათი წლის განმავლობაში მან მართლაც ბევრი ტურნირი და ორი მატჩი მოიგო, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ მას ჰქონდა დიდი მხარდაჭერა და არა მარტო საჭადრაკო ძალაუფლება, არამედ დიდი პოლიტიკური ძალაც.

**შეკითხვა: ამ წიგნის გამოცემამ თქვენ სოლიდური მატერიალური მოგება მოგიტანათ. აპირებთ თუ არა შემდგომში პროფესიის შეცვლას და მხოლოდ საკუთარი ძალებით გამოსვლას ლიტერატურულ სარბიელზე?**

**კასპაროვი:** მე ამ წიგნს ძალიან ბევრი დრო და ენერგია მოვანდომე. ერთი რამის თქმა შემიძლია, მატჩის მოგების შემთხვევაში, ხუთჯერ მეტ ჰონორარს მივიღებ, ვიდრე ამ წიგნმა მომიტანა. ამიტომ ვთვლი პროფესიის გამოცვლას არავითარი აზრი არა აქვს, თუმცა, თუ მექნება საინტერესო მასალა და დრო, არასოდეს ვიტყვი უარს წიგნის დაწერაზე.

შემდეგ კასპაროვმა დასძინა, რომ ადრე თუ დუმილს ამჯობინებდა, ახლა ეს შეუძლებელი გახდა. მე მთელი დაბეჯითებით მინდა გითხრათ, — განაგრძო კასპაროვმა, — რომ წიგნში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს შეეფერება. თუ კი კამპომანესი, კარპოვი და სხვები ცდილობდნენ ჩემს წინააღმდეგ ერთიანი ძალებით ბრძოლას, ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ მათ ბევრი საერთო ინტერესები ამოძრავებდათ.

მეორე დღეს ესპანეთის გაზეთებმა სხვადასხვანაირი შეფასება მისცეს კასპაროვის პრესკონფერენციას.

შემდეგ პრესკონფერენცია გამართა კარპოვმა და პასუხი გასცა კასპაროვის წიგნში მოტანილ ზოგიერთ საკითხებზე. კარპოვის ინტერვიუს ცალკე გამოვაქვეყნებთ.

## ასე დაწყვილდნენ

**ორიოდე** დღის წინათ გაირკვა, თუ ვინ ვის შეხვდება ჭადრაკში მსოფლიო მომავალი პირველობის პრეტენდენტთა მატჩებში. მოჭადრაკეები ასე დაწყვილდნენ: ანდრეი სოკოლოვი-კევინ სპრაგეტი (კანადა), არტურ იუსუპოვი-იან ელვესტი, იან ტიმანი (ჰოლანდია)-ვალერი სალოვი, ლაიოშ პორტიში (უნგრეთი)-რაფაელ ვაჰანიანი, ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია)-იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია), ნაიჯელ შორტი (ინგლისი)-დიულა საქსი (უნგრეთი), იასერ სეირავანი (აშშ)-ჯონათან სპილმენი (ინგლისი).

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-40 ტირაჟებისა, რომელიც 4 ოქტომბერს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** გაიყიდა 6 63 549 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო, 5 ციფრის გამოცნობისთვის (21 ბარათი) მოგება 2 527 მანეთია, 4-ისთვის (1320) — 45, 3-ისთვის (28863) — 3.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** გაიყიდა 6 552 217 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (21 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია 4-ისთვის (4737) — 136, 3-ისთვის (158 697) — 7.

მე-40 ტირაჟების მოგებათა განაღდება 19 ოქტომბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით.

• • •

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 41-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-იდან:** 2 (ბიატლონი), 12 (ტანვარჯიში), 19 (სათხილამურო რბოლები), 31 (ფარიკაობა), 34 (ბალახის ჰოკეი), 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36“-იდან:** 6 (ძიუდო), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 22 (წყალში ხტომა), 24 (ხელბურთი).

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 13 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **21.15 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 13 ოქტომბერი.** სპორტული გადაცემა — **21.30.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

## ინფორმაცია

**ნიუ-იორკი.** აშშ-ს ქალაქ ბატონ-რუჟში დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება აკრობატიკაში. ყველაზე მეტი პირველი ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. გამარჯვებულთა შორის არიან: ე. ბუგაევა (სტავროპოლი), ს. პოგიბა (კრასნოდარი), ვ. ლიპუნოვი და ს. ჩიჟევსკი (კიევი), ნ. მილერი და ე. მურჩენკო (რიგა), ს. ბეზრუჩკო და ნ. ბაბანინა (იაროსლავლი).

**დელი.** აქ მოეწყო რკინიგზელთა მერვე მსოფლიო თამაშები, რომელშიც 14 ქვეყნის 300-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი და ჩოგბურთი. ფრენბურთელ ვაჟთა ასპარეზობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნისა და გდრ-ის წარმომადგენლები. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:2. კალათბურთელ ვაჟთა ტურნირიც ჩვენმა სპორტსმენებმა მოიგეს. ფინალში მათ ინდოეთის გუნდი დაამარცხეს — 93:63.

## თბილისსა და ქუთაისში

**კვირას** განახლდა ქალაქის პირველობა უბნებს შორის მინიფეხბურთში. საინტერესოდ წარიმართა მეოთხედფინალის შეხვედრები, რომელთაც ნახევარფინალში გასული 4 უძლიერესი გუნდი უნდა დაესახელებინა.

დაძაბულად ჩატარდა პირველი მატჩი. „ვაკე-1“-მა ანგარიშით 2:0 მოუგო „დიღმის“ გუნდს და პირველი ნახევარფინალისტიც გამოვლინდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრის მსაჯობა არაკვალიფიციური იყო, რამაც თავისებური „ასახვა“ ჰპოვა ანგარიშში.

სუსტად ითამაშა „საბურთალო-პირველმა“. მეოთხედფინალის ბოლო შეხვედრაში „თემქასთან“ მას ფრეც ხელს აძლევდა, თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე თემქელები ერთი ბურთით წინ იყვნენ, მაგრამ საბურთალოელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 2:2 და ნახევარფინალის საგზურიც მიიღეს. ოქროსუბნელებმა, რომლებიც პირველობისთვის თავგამოდებით იბრძვიან, დაამარცხეს „ვერა“ — 3:2, დიდუბელებმა „ვაკე“-2-ს სძლიეს — 6:3.

18 ოქტომბერს თბილისის სპორტის სასახლეში ნახევარფინალის მატჩები გაიმართება, „ვაკე“-1 ეთამაშება „საბურთალო“-1-ს, ხოლო „ოქროსუბანი“ — დიდუბეს. თამაშები დაიწყება 15 საათზე.

**ზაზა კახაძე.**

• • •

**ქუთაისში** საინტერესოდ მიმდინარეობდა მსგავსი ტურნირი. ამ უკვე ტრადიციად ქცეულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ოცდათორმეტი გუნდი (შარშან 18 გუნდი იყო).

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „გორასა“ და „მუხრანის“ გუნდები, თამაშს სჯიდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვ. შენგელია. როგორც ძირითადმა, ასევე დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 1:1. 11-მეტრიანი დარტყმები მუხრანელებმა უკეთ შეასრულეს და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 4:3. მესამე ადგილი წილად ხვდა „ზასტავა“-2-ს ფეხბურთელებს. მეოთხეზე რიონელები გავიდნენ.

გამარჯვებულ გუნდს კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის ბიუროს გარდამავალი თასი გადაეცა.



პირველობაზე დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ დაასახელეს ვ. საკუნი („ოქროყანა“), საუკეთესო თავდამსხმელად — ბ. ურთხემლიძე („ზასტავა“-2), საუკეთესო მეკარის პრიზი „გორას“ მოთამაშე დ. გაბიანს ხვდა წილად. საუკეთესო გამთამაშებლად ზ. დევიძე („ზასტავა“-2) მიიჩნიეს.

**თამაზ ხარაბაძე.**

## მთავარ მიზანს ვერ მიაღწია

ფრანჩესკო მოზერი იტალიის ყველა დროის საუკეთესო ველოსიპედისტთა სამეულში შედის ლეგენდარულ ფაუსტო კოპისთან და ფელიჩე ჯიმონდისთან ერთად. იგი ადრეულ ასაკშივე გადავიდა პროფესიონალებში (21 წლისა) და მას შემდეგ, მთელი 15 წლის განმავლობაში ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

მოზერს რამდენიმე მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის: ერთსაათიან რბოლაში ღია ტრეკზე — 49,801 კილომეტრი, ამავე სახეობაში მაღალმთიანეთის პირობებში (ზღვის დონიდან 600 მეტრზე უფრო მაღლა) — 51,151 კილომეტრი და კიდევ რამდენიმე სხვა მიღწევა.

ამ დღეებში მოზერი მოსკოვში ჩამოვიდა, რათა კრილატსკის ტრეკზე ავსტრალიელი პროფესიონალის ნილ სტეფენსონის მსოფლიო რეკორდი გაეუმჯობესებინა — 47,227 კმ (დახურული ტრეკის მიღწევა) და პარალელურად ვიაჩესლავ ეკიმოვის მიერ დამყარებულ მოყვარულთა რეკორდისთვისაც (49,672 კმ) შეეტია. ამ მიზნით მას ჩვენს დედაქალაქში ჩამოჰყვა 24 იტალიელი და 3 ფრანგი ჟურნალისტი, 600 გულშემატკივარი, მენეჯერი, ექიმი, მასაჟისტი, სარეკლამო აგენტი, გუნდის სპონსორი და მეუღლე კლარა.

შეკითხვაზე, თუ რატომ მაინცდამაინც მოსკოვის ტრეკზე შეაჩერა არჩევანი, მოზერმა ჟურნალისტებს მოკლედ უპასუხა: კრილატსკის ოლიმპიური ტრეკი მსოფლიოში ყველაზე სწრაფია. მას აქვს ნორმალური სიგრძე (333 მეტრი) და ვირაჟების ოპტიმალური დაქანება. მოსკოვში მსოფლიო რეკორდების დასამყარებლად ყველა ტექნიკური პირობები არსებობს.

გასულ შაბათს მოსკოვის დროით 19 საათზე მოზერის სარეკორდო რბოლის პირდაპირი ტელეტრანსლაცია დაიწყო იტალიისთვის. ველოსიპედისტმა მართლაც გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდები: 10 კილომეტრზე — 12.05,569, 20 კილომეტრზე — 24.20,306 და საათიან რბოლაში — 48 კმ 637 მ. მაგრამ ერთ-ერთ მთავარ მიზანს მაინც ვერ მიაღწია — ვერაფერი მოუხერხა მოყვარულ ველოსიპედისტთა მსოფლიო რეკორდს (49,672 კმ), რომელიც ვიაჩესლავ ეკიმოვს ეკუთვნის.

## მკითხველი — გაზეთი

● **რა არის როლერ-დერბი და სად, რომელ ქვეყანაშია განვითარებული იგი?**

**ვახტანგ და გივი მაღრაძეები.**

— როლერ-დერბი აშშ-ში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული სპორტია. გამოიგონა იგი ვინმე ლეო ზალტცერმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. როლერ-დერბი გორგოლაჭებიანი ციგურებით გუნდური შეჯიბრებაა. ყოველი კოლექტივის შემადგენლობაში ხუთ-ხუთი ვაჟი და ქალია შეყვანილი. რბოლა ტარდება 30 გრადუსიანი ვირაჟის მქონე სპეციალურ ტრეკზე. გამარჯვებულად ითვლება, გუნდი, რომლის წევრები ადრე გადაკვეთენ ფინიშის ხაზს.

ოფიციალური შეჯიბრებები ამ სახეობაში ტარდება 1948 წლიდან, როცა სანახაობით დაინტერესდა აშშ-ს ტელევიზია.



**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**
**16 ოქტომბერი ⊙ ფეხბურთი ⊙ სსრ კავშირის ჩემპიონატი**
**„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)**

დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 13, 14, 15 და 16 ოქტომბერს, ხოლო ორგანიზაციებში 13, 14 და 15 ოქტომბერს. სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 15 ოქტომბერს.

დასაწყისი 17 საათზე.

უამინდობის შემთხვევაში თამაში შედგება „ლოკომოტივის“ სტადიონზე, დასაწყისი იმავე დროს.

იმასთან დაკავშირებით, რომ თამაშის დაწყებამდე 1 საათით ადრე შეწყდება ლატარიის ბილეთების გაყიდვა, გთხოვთ იზრუნოთ მათი დროულად შესაძენად.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08031